



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



MIA 2 18 0001/134

21/03/2018

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მყოფ პირთა შიმშილობის მართვის სტანდარტული სამოქმედო პროცედურების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მყოფ პირთა შიმშილობის მართვის სტანდარტული სამოქმედო პროცედურები თანდართული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამ ბრძანების დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის გაცნობა.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი
გახარია გიორგი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მყოფ პირთა შიმშილობის მართვის სტანდარტული სამოქმედო პროცედურები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიგრაციის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) დროებითი განთავსების ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) მყოფ პირთა შიმშილობის მართვის სტანდარტული სამოქმედო პროცედურები (შემდგომში – სტანდარტული სამოქმედო პროცედურები) განსაზღვრავს მოშიმშილის ყოფნის პირობებს, შიმშილობის მართვის პროცედურას, ცენტრის მოსამსახურის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე შიმშილობის შესახებ შესაბამის პირთა/დაწესებულებათა ინფორმირების წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოშიმშილე – დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი მოშიმშილე უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი;

ბ) შიმშილობა – მდგომარეობა, როდესაც ცენტრში მოთავსებული მოშიმშილე პროტესტის გამოხატვის მიზნით გაცნობიერებულ უარს აცხადებს საკვების ნაწილობრივ ან სრულად მიღებაზე;

გ) შიმშილობის დაწყების დრო – დრო, როდესაც მოშიმშილე ზეპირად ან წერილობით განაცხადებს შიმშილობის დაწყების თაობაზე;

დ) შიმშილობის შეწყვეტის დრო – დრო, როდესაც მოშიმშილე ზეპირად ან წერილობით განაცხადებს შიმშილობის შეწყვეტის თაობაზე;

ე) ინფორმირებული თანხმობა – მოშიმშილის თანხმობა სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის ხელოვნურ კვებაზე, მას შემდეგ, რაც მას მიეწოდა ინფორმაცია: სამედიცინო მომსახურების არსის, საჭიროებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ამ მომსახურებასთან დაკავშირებული მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის რისკის თაობაზე, განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა ალტერნატიული ვარიანტებისა და ამ უკანასკნელთა თანხმობები რისკის და შესაძლო ეფექტიანობის, ასევე სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმისას მოსალოდნელი რისკებისა და შედეგების შესახებ;

ვ) კანონიერი წარმომადგენელი - ცენტრში მოთავსებული უცხოელის/მოქალაქეობის არმქონე პირის ინტერესების დამცველი/ადვოკატი ან/და ნებისმიერი პირი, რომელიც სათანადოდ გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე უზრუნველყოფს უცხოელის/მოქალაქეობის არმქონე პირის ინტერესების დაცვას.

მუხლი 3. შიმშილობის დაწყებისას განსახორციელებელი ღონისძიებები

1. დეპარტამენტის მოსამსახურე, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ინფორმაცია მოშიმშილის მიერ შიმშილობის დაწყების თაობაზე, ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრის უსაფრთხოების განყოფილებას. შიმშილობის დაწყების შემთხვევაში, მოშიმშილის წერილობითი ან ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, ცენტრის უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე ექიმისა და მოშიმშილის თანდასწრებით ადგენს ოქმს მოშიმშილის მიერ შიმშილობის გამოცხადების შესახებ (ფორმა №1), რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება ცენტრის უფროსს, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას აწვდის დეპარტამენტის დირექტორს. მოშიმშილის მიერ ოქმზე (ფორმა №1) ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი, სადაც მიეთითება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

2. ოქმში მიეთითება შიმშილობის დაწყების თარიღი, დრო და მოშიმშილის მოთხოვნები. ოქმის შედგენამდე პირს განემარტება ამ სტანდარტული სამოქმედო პროცედურებით მოშიმშილის მიმართ დადგენილი მოპყრობის წესი და უფლება-მოვალეობები.

3. შიმშილობა არ ათავისუფლებს მოშიმშილეს ცენტრში არსებული საქმიანობის წესით დადგენილი დღის წესრიგითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობებისაგან, გარდა ექიმის შესაბამისი დასკვნით დადასტურებული ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევისა.

4. დაუშვებელია მოშიმშილის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებების შეზღუდვა.

მუხლი 4. მოსამსახურის უფლება-მოვალეობანი

1. დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების მოსამსახურე მოშიმშილეს დაუყოვნებლივ განუმარტავს შიმშილობის დროს მის მიმართ მოპყრობის წესს, ყოფნის პირობებსა და უფლება-მოვალეობებს.

2. დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების მოსამსახურე ვალდებულია, გაარკვიოს მოშიმშილის მიერ შიმშილობის დაწყების მიზეზი და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს უშუალო უფროსს და დეპარტამენტის დირექტორს.

3. შიმშილობის დაწყების შემთხვევაში მოშიმშილის კანონიერ წარმომადგენელს (არსებობის შემთხვევაში) ინფორმაცია მიეწოდება მოშიმშილის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ხოლო თუ მოშიმშილე არასრულწლოვანია – მისი თანხმობის გარეშე.

4. თუ შიმშილობის შედეგად მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა, რაც დასტურდება ექიმის დასკვნით, დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების მოსამსახურე აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს მოშიმშილის კანონიერ წარმომადგენელს (არსებობის შემთხვევაში).

5. დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების მოსამსახურე ვალდებულია, კონტროლი გაუწიოს მოშიმშილის ამ სტანდარტული სამოქმედო პროცედურებით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და რეალიზებას.

6. მოშიმშილის მიმართ არასათანადო მოპყრობის, ასევე ამ სტანდარტული სამოქმედო პროცედურებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოჩენისას დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების მოსამსახურე დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის ორგანოებს და დეპარტამენტის დირექტორს.

მუხლი 5. შიმშილობის მართვა და მოშიმშილის ცენტრში ყოფნის პირობები

1. მოშიმშილის იძულებითი მკურნალობა დაუშვებელია.

2. შიმშილობის დროს სამედიცინო დახმარების გაწევა, მათ შორის, ხელოვნური კვება, დასაშვებია მხოლოდ მოშიმშილის ინფორმირებული თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამედიცინო დახმარების გარეშე გარდაუვალია მოშიმშილის სიკვდილი, რის თაობაზეც გადაწყვეტილება დადასტურებული უნდა იქნეს მინიმუმ ერთი სხვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ მაინც.

3. შიმშილობის დაწყებისას და შემდგომში ყოველდღიურად, ექიმი მოშიმშილეს განუმარტავს იმ საფრთხეებისა და რისკების შესახებ, რაც შეიძლება მის ჯანმრთელობას მიაყენოს შიმშილობამ, განსაკუთრებით კი ხანგრძლივმა შიმშილობამ. აღნიშნულის თაობაზე ექიმი ადგენს შესაბამის ოქმს ან აკეთებს მიღებული ინფორმაციის გაცნობიერების შესახებ მოშიმშილის მიერ ხელმოწერით დადასტურებულ ჩანაწერს.

4. ექიმი შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს მოშიმშილის სამედიცინო შემოწმების შედეგების გათვალისწინებით და წარუდგენს დეპარტამენტის დირექტორს.

5. მოშიმშილე იმყოფება ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და გადის ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას მისივე თანხმობის შემთხვევაში. ექიმი ვალდებულია, ყოველდღიურად გაესაუბროს მოშიმშილეს და დაადგინოს, ხომ არ სურს მას შიმშილობის შეწყვეტა, ამასთან, რა ღონისძიებების განხორციელებაა შესაძლებელი იმ შემთხვევაში, როდესაც მას აღარ ექნება გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. აღნიშნულის შესახებ ასევე კეთდება ჩანაწერი მოშიმშილის ამბულატორიულ ბარათში.

6. შიმშილობის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 საათისა მოშიმშილეს უტარდება ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი სამედიცინო შემოწმება, ამასთანავე, ექიმი ფსიქოლოგთან ერთად აფასებს მის ზოგად ფსიქიკურ მდგომარეობას. ფსიქიკური აშლილობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მოშიმშილე უმოკლეს ვადაში უნდა იქნეს შემოწმებული ექიმ-ფსიქიატრის მიერ.

7. თუ ცენტრში მოთავსებულმა პირმა 24 საათის განმავლობაში არ მიიღო საკვები ულუფა, ცენტრის უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე ადგენს შესაბამის ოქმს, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა ექიმს. ექიმი ვალდებულია, უზრუნველყოს მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი შემოწმება.

8. შიმშილობის დაწყებიდან 2 (ორი) დღე-ღამის განმავლობაში მოშიმშილე ექვემდებარება ექიმ-ფსიქიატრის მხრიდან გეგმურ შემოწმებას ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით, რის თაობაზეც კეთდება ჩანაწერი ამბულატორიულ ბარათში. განმეორებითი შემოწმება ჩატარდება მოშიმშილის მდგომარეობიდან გამომდინარე.

9. ექიმ-ფსიქიატრის მიერ მოშიმშილის ფსიქიკური აშლილობის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, იგი არ განიხილება მოშიმშილედ, მაგრამ მის მიმართ ღონისძიებები განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ მისი ცენტრში დატოვება შეუძლებელია, ექიმის დასკვნის საფუძველზე, დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ხდება მოშიმშილის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება მის კანონიერ წარმომადგენელს (არსებობის შემთხვევაში). მოშიმშილის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა/ესკორტირება და ადგილზე ზედამხედველობა ხორციელდება ცენტრის უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურეთა მიერ.

11. მოშიმშილისათვის საუზმე, სადილი და ვახშამი მზადდება დადგენილი ნორმების მიხედვით, ექიმის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ცენტრში საკვების მიღებისათვის დადგენილ დროს მოშიმშილეს ექიმის მიერ განემარტება საკვების მიღების აუცილებლობის შესახებ. საკვების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა მოშიმშილისათვის საკვების შეთავაზების აღრიცხვის ბარათში (ფორმა №2).

მუხლი 6. შიმშილობის შეწყვეტა

1. შიმშილობის შეწყვეტის შემთხვევაში ცენტრის უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე მოშიმშილის თანდასწრებით ადგენს ოქმს მის მიერ შიმშილობის შეწყვეტის შესახებ (ფორმა №3), რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება ექიმს, ცენტრის უფროსს, დეპარტამენტის დირექტორს. მოშიმშილის მიერ ოქმზე (ფორმა №3) ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი, სადაც მიეთითება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

2. შიმშილობის ფაქტთან დაკავშირებული მასალა (მათ შორის, საკვების შეთავაზების აღრიცხვის ბარათი), გარდა სამედიცინო დოკუმენტაციისა და დეპარტამენტის უცხოელთა

უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტებისა (გასაუბრების ოქმები, კორესპონდენციები, ანგარიშები, რეკომენდაციები და სხვა), უნდა დაერთოს მოშიმშილის პირად საქმეს.

მუხლი 7. შიმშილობის შესახებ შესაბამისი პირისა და ორგანოს/ორგანიზაციის ინფორმირების წესი

1. დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილება შიმშილობის გამოცხადების ან/და შეწყვეტის თაობაზე ინფორმაციას აწვდის:

ა) საქართველოს სახალხო დამცველს;

ბ) შიმშილობის მიზეზის გათვალისწინებით, შესაბამის ორგანოს ან/და ადგილობრივ/საერთაშორისო ორგანიზაციას (არსებობის შემთხვევაში);

გ) ექიმს.

2. მოშიმშილის კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ეცნობება:

ა) მოშიმშილეს;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველს.

ოქმი
მოშიშვილის მიერ შიმშილობის გამოცხადების შესახებ

_____ (ოქმის შედგენის ადგილი)

_____ (თარიღი და დრო)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის (სამმართველო) უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე _____

(სახელი, გვარი)

და ექიმი _____ თარჯიმან (არსებობის შემთხვევაში)

(სახელი, გვარი)

_____ მონაწილეობით ვადგენთ აღნიშნულ ოქმს მასზედ,

(სახელი, გვარი)

რომ ამავე ცენტრში მოთავსებულმა პირმა _____ მ/წლის _____

(სახელი, გვარი)

(თარიღი, დრო)

დაიწყო შიმშილობა. მოშიშვილეს განემარტა მოშიშვილის მიმართ მოპყრობის წესი და უფლება-მოვალეობები, შიმშილობის გაგრძელების შემთხვევაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესაძლო მძიმე შედეგების დადგომის თაობაზე. მასვე განემარტა, რომ შიმშილობის დაწყება არ ათავისუფლებს მას კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობებისაგან. მოშიშვილესთან გასაუბრების შედეგად გაირკვა შიმშილობის დაწყების მიზეზები, რა დროსაც მოშიშვილემ აღნიშნა:

მოშიშვილეს განემარტა, რომ მისი შიმშილობის თაობაზე ეცნობება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასა და დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილებას, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას აწვდის საქართველოს სახალხო დამცველს, ასევე მისი სურვილით -----

მოშიშვლებს განემარტა, რომ მას უფლება აქვს, გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით _____ ვადაში. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პირი _____ აგრძელებს შიმშილობას.

(სახელი, გვარი)

მოშიშვლებს განემარტა, რომ მისი თანხმობის შემდეგ ცენტრის უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე ინტერესების დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (არსებობის შემთხვევაში) მიაწოდებს ინფორმაციას მის მიერ შიმშილობის გამოცხადების თაობაზე, რაზეც _____ განაცხადა.

(თანხმობა, უარი)

ოქმის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

1. _____ / _____ /
(ოქმის შემდგენის სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

2. _____ / _____ /
(ექიმის სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

3. _____ / _____ /
(არსებობის შემთხვევაში დამსწრე პირის სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

4. _____ / _____ /
(მოშიშვლებს დაკავებული/მოთავსებული მოშიშვლებს) (ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)

ოქმი _____ ქართულიდან _____ ენაზე
(მოშიშვლის სახელი, გვარი) (უცხო ენის დასახელება)

ეთარგმნა თარჯიმან _____ მიერ.
(სახელი, გვარი)

თარჯიმანი გაფრთხილებულია განზრახ არასწორად თარგმნის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ: _____
(თარჯიმნის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა)

შენიშვნა: -----

მოშიმშილისათვის საკვების შეთავაზების აღრიცხვის ბარათი¹

თარიღი	საუზმე		სადილი		ვახშამი	
	საკვების შეთავაზება	ექიმის ხელმოწერა	საკვების შეთავაზება დრო	ექიმის ხელმოწერა	საკვების შეთავაზება	ექიმის ხელმოწერა
დრო						
შედგები						

შენიშვნა: -----

¹ ბარათი თან ერთვის მოშიმშილის პირად საქმეს. მოშიმშილის მიერ ბარათზე ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, შენიშვნაში მიეთითება უარის თქმის მიზეზი.

ოქმი
მოშიშვილის მიერ შიმშილობის შეწყვეტის შესახებ

_____ (ოქმის შედგენის ადგილი)

_____ (თარიღი და დრო)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის (სამმართველო) უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე _____ (სახელი, გვარი)

და ამავე ცენტრში მოთავსებული მოშიშვილე _____ (სახელი, გვარი)

თარჯიმან (არსებობის შემთხვევაში) _____ მონაწილეობით (სახელი, გვარი)

ვადგენთ აღნიშნულ ოქმს მასზედ, რომ მ/წლის ----- მოშიშვილემ შეწყვიტა მის მიერ დაწყებული შიმშილობა. (თარიღი, დრო)

ოქმის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

1. _____ / _____ /
(ოქმის შემდგენის სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

2. _____ / _____ /
(არსებობის შემთხვევაში დამსწრე პირის სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

3. _____ / _____ /
(მოშიშვილე დაკავებული/მოთავსებული მოშიშვილე) (ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)

ოქმი _____ ქართულიდან _____ ენაზე
(მოშიშვილის სახელი, გვარი) (უცხო ენის დასახელება)

ეთარგმნა თარჯიმან _____ მიერ.
(სახელი, გვარი)

თარჯიმანი გაფრთხილებულია განზრახ არასწორად თარგმნის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ: _____
(თარჯიმნის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა)

မိဂ်ဝိမိဂ်: -----